ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7841665

ნომერი: AR11102561

თარიღი : 30.07.2025

გაცემის თარიღი : 13.03.2026

გაცნობის თარიღი : 16.03.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სიონი , (ნაკვ. 46/019);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია მითითება N002138; 29.11. 2016წ. შესაბამისად წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის განახლებული პოზიცია

2. წარმოდგენილი იქნას საკადასტრო გეგმა/გენგეგმა საპროექტო არეალის და ზომების დატანით. ვინაიდან საჩრდილობელი ეწყობა საკადასტრო საზღვრებს გარეთ, წარმოდგენილი იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა საზოგადოებრივ სივრცეში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

3. მოეწყოს მოძრავი საჩრდილობელი და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ფოტომონტაჟი. მითითებული იქნას ზომები, ნიშნულები, მასალა და მასალის ფერი საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით; ფოტომონტაჟიდან ამოღებული იქნას მაგიდები და სკამები.

- ფოტომონტაჟი დამუშავდეს წარმოდგენილ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოებზე. - ასევე წარმოდგენილი იქნა სქემატური ჭრილი ნიშნულების და ზომების მითითებით.

4. საჭიროა წარმოდგენილი იქნას მესაკუთრეებისა და ქვემეიჯარის თანხმობა ან იჯარის საფუძვლები სრულად, თუ ისინი ითვალისწინებს შესაბამის თანხმობას.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.